აიპ ინფორმირებული საზოგადოება

პროექტი

თვითმართველობის როლი სახელმწიფოს განვითარებაში

ზოგადი ინფორმაცია

- სსიპ „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის“ მიერ 2017 წლის 3 თებერვალს გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა ააიპ ინფორმირებული საზოგადოების პროექტი: “თვითმართველობის როლი სახელმწიფოს განვითარებაში“
- მხარეებს შორის გაფორმდა გრანტის გამოყოფის შესახებ ხელშეკრულება და ააიპ ინფორმირებული საზოგადოება წინასწარ დაგეგმილი გრაფიკის შესაბამისად შეუდგა პროექტის განხორციელებას.

პროექტის მიზანი

პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა 2017 წელს გასამართი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნებისთვის, მათთვის საინფორმაციო - საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების კუთხით

სამიზნე ჯგუფი

ინფორმირებულმა საზოგადოებამ დაგეგმა საგანმანათლებლო პროგრამა იმერეთის რეგიონის 4 საარჩევნო ოლქის წარმოდგენილი **პოლიტიკური პარტიების წევრებისთვის.**

საარჩევნო ოლქების ჩამონათვალი:

ზესტაფონი

ხარაგაული

საჩხერე

ჭიათურა

ტრეინინგის ჩატარების ადგილი:
ლიკანი - სასტუმრო ნატალი

პროექტში მონაწილეთა რაოდენობა

ჩვენმა ორგანიზაციამ ჩაატარა წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები, დაუკავშრიდა პოლიტიკურ პარტიებს და მათი მხრიდან მიღებული იქნა წინასწარი თანხმობები, თუმცა სამწუხაროდ პოლიტიკურმა გაერთიანებამ - ევროპული საქართველო, მიუხედავად მათ მიერ წინასწარ გამოთქმული თანხმობისა, არ წარმოადგინა თავიანთი წარმომადგენლები. შესაბამისად დაგეგმილი132 მონაწილის ნაცვლად ტრენინგში მონაწილეობა მიიღო პოლიტიკურ პარტიათა **124** წარმომადგენელმა, აქედან **16** კვალიფიციურ პარტიათა წარმომადგენელი იყო **88** მონაწილე, ხოლო 9 არაკვალიფიციურ პარტიათა მონაწილეთა რაოდენობამ შეადგინა **36** მონაწილე.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული კონკრეტული ღონისძიებები

- განხორციელდა პროექტის შესაბამისად დაგეგმილი შესყიდვები, საკანცელარიო საქონელი, კომპიუტერული და სხვა სახის ტექნიკური საშუალებები და ა.შ
- გაფორმდა მომსახურების ხელშეკრულება სასტუმრო ნატალისთან, დაბა ლიკანში და შეთანხმდა სამუშაო პროცესის დეტალები.
- გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება, როგორც თანამშრომლებთან, ასევე ტრენერებთან, ლიკანში.
- დამუშავდა სასწავლო/სატრენინგო მასალები, სახელმძღვანელო, შეფასების ფურცლები, სავარჯიშოები, დღის წესრიგი, და სხვა.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული კონკრეტული ღონისძიებები

- დაიბეჭდა სახელმძღვანელოები, სერტიფიკატები, დამზადდა ბრენდირებული ბლოკნოტები და კალმები, ასევე დამზადდა ბრენდირებული ბანერი.
- პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების ეფექტურად წარმართვის, მონაწილეთა ჯგუფების დაკომპლექტებისა და კოორდინაციის მიზნით განხორციელდა გარკვეული აქტივობები, ჩატარდა შეხვედრები ტრენერებსა და პროექტის შემსრულებლებს შორის. დეტალურად იქნა განხილული პროექტის გეგმები, მიზნები და პოლიტიკური პარტიების შემდგომი ინფორმირებულობის საკითხები.
- სასტუმროში განთავსდა შესაბამისი შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა და მოეწყო საკონფერენციო დარბაზი სატრენინგოდ.

ტრენინგის მიმდინარეობის პროცესი

ტრენინგები წარიმართა მაღალი კვალიფიკაციის მქონე ტრენერების მიერ, რომელთაც აქვთ მრავალწლიანი გამოცდილება, საარჩევნო პროცესებში და პოლიტიკურ პარტიებთან მუშაობის კუთხით.

ტრენინგის მიმდინარეობის პროცესი

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ეცნობოდნენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს როგორიცაა:

- არჩევნების საერთაშორისო სტანდარტები;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისათვის მოქმედი საარჩევნო სისტემა საქართველოში;
- ჩართული მხარეების საარჩევნო რეგისტრაცია, მათი უფლება-მოვალეობები საარჩევნო პროცესში და საარჩევნო ეთიკა

ტრენინგის მიმდინარეობის პროცესი

- წინასწაარჩევნო კამპანიის/აგიტაციის წარმოება და შეზღუდვები;
- კონფლიქტების მართვა და საარჩევნო დავების გადაწყვეტის საერთაშორისო სტანდარტები; კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა და ანგარიშვალდებულება;
- ინკლუზიური არჩევნები (მოწყვლადი ჯგუფის ჩართულობა);
- ქალთა უფლებები და გენდერული თანასწორობა საარჩევნო პროცესში ჩართულობა.



ტრენინგის მიმდინარეობის პროცესი

აღსანიშნავია, პროექტის განხორციელების პროცესში, სსიპ „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი“ კონტრიბუციის ფარგლებში, უზრუნველყოფდა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების სწავლებას შემდეგი მოდულებით: საარჩევნო ციკლი და საარჩევნო ოპერაციების მართვა; საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის სტრუქტურა და სახელმძღვანელო პრინციპები; კენჭისყრის დღის პროცედურები; არჩევნების სანდოობა და უსაფრთხოება

ნაბეჭდი მასალა, აუდიო-ვიდეო-ფოტო ან სხვა მასალები, რომლებიც შეიქმნა პროექტის განხორციელების შედეგად

თითოეულ დამსწრე მონაწილეს გადაეცა პროექტის ფარგლებში მომზადებული მასალები: სახელმძღვანელო, ბრენდირებული ბლოკნოტი, ბრენდირებული კალამი. ტრენინგების დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები.

გამოწვევები და შედეგები

- მაქსიმალური სიზუსტით დაგეგმილი პროექტი
- ტრენინგების მთელი პერიოდის მანძილზე, აქტიურად შუქდებოდა ტრენინგების მიმდინარეობა სოციალური ქსელის მეშვეობით (https://www.facebook.com/infosociety2016/). ყოველდღიურად თავსდებოდა ფოტოსურათები და ვიდეოები, რაც კიდევ უფრო წამახალისებელს ხდიდა მონაწილეთა ჩართულობას
- მნიშვნელოვნად ამაღლდა პროექტში მონაწილე პოლიტიკური გაერთიანების წარმომადგენელთა კვალიფიკაციის დონე

გამოწვევები და შედეგები

- ტრენინგის მიმდინარეობის პროცესში მთლიანად გამოირიცხა პარტიული დაპირისპირების უმნიშვნელო მომენტებიც კი, რამაც კიდევ უფრო ეფექტური გახადა სწავლება.
- ტრენინგებმა ასევე ხელი შეუწყო წარმომადგენელთა დამეგობრებას და ურთიერთპატივისცემას, რაც დარწმუნებული ვართ დადებთად აისახება მომავალი არჩევნების მსვლელობისას.

პატივისცემით
აარპ „ინფორმირებული საზოგადოების“
დირექტორი
რატი გოგატიშვილი